ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისსტატუსის მაძიებელზე

დანართი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს თამარიონი +

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- [x] დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: მაკა ნადარეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

II. დაწესებულების მისია

ჯანსაღ გარემოში აღზარდოს ჰარმონიულად განვითარებული სწორი პროფესიული ორიენტაციის, გონებრივი შესაძლებლობის შესაბამისად განათლებული, საკუთარი და სამშობლოს მომავალზე ორიენტირებული ახალგაზრდა.

მოსწავლეებს კარგად შეასწავლოს თავისი და სხვა ქვეყნების წარსული, სწორად დააკავშიროს მოვლენები აწმყოში და შეძლებისდგავარად გათვალოს მოსალოდნელი შედეგები.

აქტიურად ჩართოს მოსწავლეები საქალაქო, რეგიონალურ და სხვა ინტელექტუალური, სპორტული და შემოქმედებით პროგრამებში.

იზრუნოს მოსწავლეთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე.

სისტემატური კავშირი იქონიოს მოსწავლეთა მშობლებთან, აქტიურად ჩართოს ისინი როგორც სასწავლო, ისე გასართობ პროექტებში და სისტემატურად ჩააბაროს ანგარიში მათ შვილების აკადემიური მოსწრების შესახებ.

სისტემატურად იზრუნოს სასწავლო პორგრამებისა და სწავლების ტექნოლოგიების განახლებისათვის.

მაღალკვალიფიციური მასწავლებლების საშუალებით გამოუმუშაოს მოსწავლეებს კონკურენტუნარიან გარემოში, თავისუფლად ოპერირებისა და თვითდამკვიდრების უნარჩვევები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისსტატუსის მაძიებელზე

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

შეფასება:

შპს „თამარიონ +"-მა ექსპერტთა ჯგუფს გადმოგზავილი დიკუმენტაციის სახით წარუდგინა 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შემუშავებულია სკოლაში არსებული საგნობრივი კათედრების მიერ, ხოლო დამტკიცებულია 2018 წლის 12 თებერვალს სკოლის დირექტორის მიერ. ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციამ ექპერტთა ჯგუფს წარუდგინა შპს „თამარიონ +"-ის 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.

სასკოლო სასწავლო გეგმა და გეგმის პროექტი მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- სკოლის მისია;
- სწავლების საფეხურების და საფუხურის შესაბამისი მიზნები;
- გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი კლასების მიხედვით;
- სკოლის აკადემიური კალენდარი;
- საათობრივი ბადე;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი მომსახურება;
- ინკლუზიური განათლება;
- გაცდენები და მოსწავლის შეფასება;
- შემაჯამებელი დავალებები;
- გამოცდები და გამოცდების ტიპები;
- საგნობრივი კათედრები;
- პროფესიული ორიენტაციები და კარიერის დაგეგმვა;
- კლასის დამრიგებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისსტატუსის მაძიებელზე

შპს „თამარიონ +“-ში სწავლება დაგეგმილია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. საფეხურების მიზნები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია გრიფირებული ძირითადი სახელმძღვანელოების ჩამონათვალი კლასების მიხედვით. სკოლის აკადემიურ კალენდარში განსაზღვრულია სწავლის დაწყებისა და დასრულების თარიღები, არდადეგები და დასვენების დღეები - აკადემიური კალენდარი შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ასევე მოცემულია სასწავლო დღის რეჟიმი (გაკვეთილების დაწყების, დასრულებისა და შესვენების დრო). სკოლა მომავალ სასწავლო წელს გეგმავს ორცვლიან მუშაობას, შესაბამისი სასწავლო დღის რეჟიმი წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში. საათობრივი ბადე ემთხვევა ეროვნული გეგმით შემოთავაზებულ საათობრივ ბადეს.

სკოლა, მისიიდან გამომდინარე, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებით მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა წრეს. 2018-2019 სასკოლო სასწავლო წლის გეგმის პროექტში წრეები არჩევითი ხასიათისაა. <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული დამატებითი მომსახურება ახალი 2018-2024 სასწავლო წლების ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შეეტანათ საათობრივ ბადეში.</u>

სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ინკლუზიურ განათლებას, რომელიც ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ინკლუზიური სწავლების მიზნებს. მოცემულია ზოგადი განმარტება ინკლუზიური განათლების, მოსწავლის შეფასებისა და გაცდენების შესახებ.

სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს გაცდენებსა და სასწავლო პროცესში მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასებას. შეფასების პრინციპები ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, რომელიც თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით მოთხოვნილ მინიმალურ რაოდენობასთან. თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ გადმოგზავნილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ტექნიკური ტიპის ხარვეზია გამოვლენილი - სასწავლო წლები შეცდომით არის მითითებული (2016-2017 სასწავლო წელი). ხოლო წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისსტატუსის მაძიებელზე

პროექტში აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი გასწორებულია. სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია გამოცდები და გამოცდების ტიპები. გამოცდების ტიპები და პროცედურები შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს სანგობრივ კათედრებს, სკოლაში ფუნქციონირებს 5 კათედრა სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კათედრის მოვალეობები. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია კლასის დამრიგებლის მუშაობის მიზნები და უფლებამოვალეობანი, რომელიც თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლის მისიიდან გამომდინარე, გარდა სხვა მოვალეობებისა, კლასის დამრიგებლის ერთ-ერთი მოვალეობაა მოსწავლის კლასგარეშე შემოქმედებით და საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვა. დამრიგებლის მუშაობის პრინციპები გამომდინარეობს სკოლის მისიისდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

მისიიდან გამომდინარე სკოლა მომავალ 2018-2019 სასწავლო წელს გეგმავს სხვადსხვა ტიპის აქტივობას:

1. სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მოწვევა მოსწავლეებთან შესახვედრად;
2. ექსკურსიები თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებსა და პროფესიულ კოლეჯებში;
3. უცხოური უნივერსიტეტებისა და კოლეჯების გაცნობა ინტერნეტგვერდების საშუალებით;
4. ექსკურსიები სხვადასხვა ორგანიზაციაში და სხვა.

დასტურდება:

- 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;
- 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;
- შპს "თამარიონი +" დირექტორის 2018 წლის23 თებერვლის ბრძანებით (ბრძანება N 12; 12.02.2018);
- ინტერვიურებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისსტატუსის მაძიებელზე

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

შეფასება:

შპს "თამარიონ +"ის სასკოლო სასწავლო გეგმისა და გეგმა პროექტის მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს ხუთი საგონობრივი კათედრა:

1. ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა;
2. მშობლიური და უცხო ენების კათედრა;
3. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ისტის კათედრა;
4. დაწყებითი საფეხურის კათედრა;
5. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა.

სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა კათედრების პორტფოლიოები. თითოეული კათედრის პორტფოლიო მოიცავს:

- საგნობრივ პროგრამას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ თემებსა და სწავლების მეთოდებს კლასების შესაბამისად;
- შემაჯამებელი სამუშაოების სავარაუდო ტიპებს;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის სავარაუდო ფორმებს და შეფასების სქემებს;
- შეფასების ზოგად სქემებს.

შემაჯამებელი დავალებების ნიმუშებში, გარდა ტესტისა დახურული და ღია კითხვებით, მოცემულია წაკითხულის გაგება, შემაჯამებელი ესსე. აღნიშნული დავალების ტიპები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისსტატუსის მაძიებელზე

მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი წლიური თემატური გეგმები 2017-2018 სასწავლო წლისთვის არის განკუთვნილი. შემუშავებულია, ასევე 2018-2019 სასწავლო წლის საგნობრივი გეგმა-პროექტები.

სკოლას საათობრივ ბადეში გათვალისწინებული აქვს არჩევითი საგნები (საშუალო საფეხურზე), თუმცა არ აქვს არჩევანი გაკეთებული, სკოლის დირექტორის განმარტებით, საგნების შერჩევა მოხდება სასწავლო პროცესის დაწყებისას (ვადების დაცვით), რაც ექსპერტთა ჯგუფმა ლოგიკურ პასუხად მიიჩნია.

სკოლა, მისიიდან გამომდინარე, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებით მოსწავლეებს სთავაზობს სხვადსხვა წრეს:

1. სახალისო მათემატიკის წრე - I-VI კლასებისათვის;
2. ინტელექტუალური კლუბი IV –XII კლასებისათვის;
3. სამოქალაქო კლუბი „თამარიონი“ – VII –X კლასებისათვის;
4. გარემოს დაცვითი წრე - VII – XI კლასებისათვის.

სასწავლო გეგმაში გაწერილია დამატებითი მომსახურების ამოცანები, ორგანიზება და სამუშაო გრაფიკი. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება არასავალდებულო (ფაკულტატური) სახით არის შეთავაზებული.

სკოლას არჩეული აქვს სპორტის შემდეგი სახეობები: ჭადრაკი, სპროტული ცეკვები, ბადმინტონი.

საგნობრივ პროტფოლიოებში წარმოდგენილია შესაბამისი სახეობების წლიური პროგრამა, სწავლების მეთოდები და შედეგები.

დასტურდება:

- 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;
- 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- კათედრების პორტფოლიოებით;
- ინტერვიურებით.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

შეფასება:

შპს "თამარიონ +"ის სასკოლო სასწავლო გეგმასა და გეგმა პროექტში გაწერილია ინკლუზიური განათლების მიზნები და ამოცანები, რომლებიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლა გეგმავს მომავალ 2018-2019 სასწავლო წელს დაიწყოს ფუნქციონირება. შესაბამისად მას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.

დასტურდება:

- 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;
- 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

შეფასება:

შპს "თამარიონ +"ის სასკოლო სასწავლო გეგმასა და გეგმა პროექტში გაწერილია შეფასების ზოგადი პრინციპები. შეფასების მიზნით იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. შეფასების სისტემა, ქულათა გამოთვლისა და დაანგარიშების წესი ეროვნული სასწავლო გეგმის იდენტურია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

მოსწავლე ფასდება სამ კომპონენტში: საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალება. მოსწავლის შეფასება ხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით, განმავითარებელი შეფასება I დან –V კლასის I სემესტრის ჩათვლით, ხოლო V კლასის II სემესტრიდან XII კლასის ჩათვლით განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

დასტურდება:

- 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;
- 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;
- ინტერვიურებით.

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

შეფასება:

სკოლა"თამარიონ +"ის სასკოლო სასწავლო გეგმისა და გეგმა პროექტში გაწერილია დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები. დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობებში შედის მშობლის ინფორმირება მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ, თვეში ერთხელ.

დასტურდება:

- 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;
- 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;
- ინტერვიურებით.

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისსტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

შპს "თამარიონი +"ის სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს სკოლისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მექანიზმებს. სასკოლო სასწავლო გეგმის N4 დანართის თანახმად:

- სკოლაში ამოქმედდება გაკვეთილებზე ურთერთდასწრებისა და ურთერთდახმარების მექანიზმი;
- კათედრის სხდომაზე განიხილება პრობლემური საკითხები და მათი აღმოფხვრის გზები;
- სკოლის მიერ შექმნილი კითხვარების საშუალებით ჩატარდება გამოკითხვა და განხორციელდება შედეგების ანალიზი.

სკოლამ წარმოადგინა შემუშავებული სხვადასხვა ტიპის კითხვარი:

- მოსწავლის მიერ მასწავლებლის შეფასების კითხვარი - (მე-3 საფეხურის მოსწავლეთათვის - რა მოგწონს/არ მოგწონს საგნის მასწავლებელში, რომელ არჩევით საგანს ისურვებდი, რას შემოგვთავაზებდი; მასწავლებელთა პროფესიული ღირსებების შეფასების კითხვარი);
- მოსწავლის მიერ სასწავლო საგნის შეფასების კითხვარი - (რამდენად საინტერესოდ არის მასალა მიწოდებული, საშინაო დავალება რამდენად გასაგები და შესრულებადია, არის თუ არა ტესტები განვლილი პროგრამის შესაბამისია და ა.შ.);
- მოსწავლის მიერ, სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების, დაწესებულების რესურსისა და განვითარების შეფასების კითხვარი. კითხვარი მოიცავს ინფორმაციას სკოლის მატერიალური რესურსის, საბიბლიოთეკო რესურსის და სხვა კომპონენტების შეფასების შესახებ. გარდა ამისა მოსწავლეს შეუძლია სკოლის საბიბლიოთეკო ფონდის შევსებასთან დაკავშირებით დაწეროს რეკომენდაციები; სასწავლო გეგმის თვალსაზრისით მოსწავლემ უნდა გასცეს შემდეგი ტიპის კითხვებს პასუხი: რომელი საგნის სწავლება იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელი საგნის სწავლებამ არ მოგცათ სასურველი შედეგი, რა რეკომენდაციები გექნებათ სწავლების მეთოდებთან).
- ადმინისტრაციული პერსონალის მიერ დაწესებულების რესურსის შეფასების კითხვარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისსტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

- 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;
- შპს "თამარიონი +" დირექტორის 2018 წლის23 თებერვლის ბრძანებით (ბრძანება N 12; 12.02.2018);
- ინტერვიურებით.

2. მატერიალური რესურსი

2.1დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათშორის:

ა)ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.

შეფასება:

ა

შპს თამარიონი+-ის (საიდენფიკაციო კოდი: 418471193) იურიდიული მისამართია: ქ.გორი, გმირების ქ.28. სკოლა განთავსებულია 517.00 კვ.მ. მიწის ფართზე მდებარე შენობა ნაგებობაში საერთო ფართით: 350.69კვ.მ. (ამ ფართში არ არის გათვალისწინებული ახლად მიშენებული 2 ოთახი, რომლებიც არ არის დატანილი აზომვით ნახაზზე). შენობა სკოლას აღებული აქვს იჯარის ხელშეკრულებით სს „თიბისი ბანკისგან" (ხელშეკრულება 2018 წლის 18 აპრილი). ხელშეკრულება ძალაშია 2024 წლის 30 მაისის ჩათვლით **(დანართი N1).** სკოლამ ვერ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რამდენადაც ხელშეკრულების დადებიდან იჯარის გაფორმებასთან დაკავშირებით (რომელიც ჩვენი ვიზიტის პერიოდში გაფორმდა), არ იყო გასული შესაბამისი დრო. დირექტორის განმარტებით ამონაწერს ისინი საბჭოზე წარმოადგენენ.

სკოლამ წარმოადგინა ასევე აზომვითი ნახაზი, რომელიც არ შეესაბამება არსებულ მდგომარეობას და მასზე არ არის დატანილი ახლად მიშენებული 2 ოთახი მეორე სართულზე და სველი წერტილი პირველ სართულზე (დანართი N 2). დირექტორის განმარტებით ამ დოკუმენტსაც საბჭოზე წარმოადგენენ.

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ.გორი, გმირების ქ. 28	დაზუსტებული ფართობია:350.69 კვ.მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისსტატუსის მაძიებელზე

დასტურდება

- საკადასტრო კოდით N 66.45.12.242;
- იჯარის ხელშეკრულებით 2018 წლის 18 აპრილი **(დანართი N1);**
- აზომვითი ნახაზით **(დანართი N2**).

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

შეფასება:

სკოლაში არის 7 საკლასო ოთახი, მათ შორის 2 განთავსებულია მეორე სართულზე ახლად მიშენებულ ფლიგელში. ეს ოთახები არ არის ასახული აზომვით ნახაზში. შენობის ამ ნაწილს აქვს ღია კორიდორი. რომელიც გადმოდის სკოლის ეზოზე. ვიზიტის პერიოდში მიმდიმარეობდა ვიწრო დერეფნის შემინვითი სამუშაოები, რომელიც უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დაიგეგმა. შემინვის შემდგომ ამ ფლიგელში არსებული 1 საკლასო ოთახს და 2 საკლასო ოთახიდან ერთს, რომელიც არ არის ასახული აზომვით ნახაზზე ექნება მეორადი განათება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფანჯრები, რომლებითაც იმინება დერეფანი არის მაღალი და ხელს არ შეუშლის ოთახების განათებას. სკოლას აქვს, ასევე, 1 დამხმარე ოთახი განაყოფებისთვის (მეორადი განათებით), ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი, სასადილო ოთახი, ოთახი სპორტული ვარჯიშებისთვის და 1 ლაბორატორია (მეორადი განათებით).

საკლასო ოთახებში განთავსებულია 64 ერთადგილიანი, 10 ორადგილიანი მაგიდა და 75 სკამი. დამხმარე ოთახში განთავსებულია, ასევე 12 მერხი და 13 სკამი. სკოლას აქვს 3 პერსონალური კომპიუტერი და 3 ლეპტოპი, 1 პროექტორი, 2 პიანინო. სკოლის მფლობელობაშია ასევე გეოგრაფიული რუკები და სხვადასხვა თვალსაჩინოება.

საერთო ჯამში, ჩვენი დათვლის შედეგად, ოთახებში განთავსებული და დასაწყობებული მაგიდებისა და სკამების რაოდენობა შეადგენს 101 -ს, თუმცა სკოლას დასაწყობებული ჰქონდა ასევე შენობის სახურავზეც მერხები, რომლებიც ვერ დავითვალეთ. ჩუქების ხელშეკრულების თანახმად, რომელიც დანართის სახით ერთვის დასკვნას, სკოლას ფლობელობაში უნდა ჰქონდეს 64 ერთადგილიანი, 49 ორადგილიანი მაგიდა და 124 სკამი. საკლასო ოთახების ფართის გათვალისწინებით (ერთ ცვლაში), სკოლაში შეიძლება განთავსდეს მხოლოდ 71 მოსწავლე.

ჩუქების ხელშეკრულების თანახმად რესურსი სკოლას გადაეცა სკოლა თამარიონისგან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

საკლასო ოთახების ფართის გათვალისწინებით (ერთ ცვლაში), სკოლაში შეიძლება განთავსდეს მხოლოდ 71 მოსწავლე + 13 დამხმარე ოთახში, რომელიც მეორადი განათებითაა.

ჩუქების ხელშეკრულების თანახმად რესურსი სკოლას გადაეცა სკოლა თამარიონისგან.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ჩუქების ხელშეკრულებით **(დანართი N3)**;
- მიღება- ჩაბარების აქტით **(დანართი N4)**;

გ)სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

შეფასება:

სკოლას აქვს სპორტული ოთახი (36,26 კვ.მ.), რომელიც განთავსებულია შენობის პირველ სართულზე და გამოიყენება ასევე სააქტო დარბაზად. დარბაზი მოსახსნელი კედლით გაყოფილია 2 ნაწილად, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ერთიანდება. დირექციის განმარტებით ოთახში ტარდება სპორტული ცეკვები. სკოლას მფლობელობაშია ჭადრაკის დაფის - 6 კომპლექტი, ბადმინტონის ჩოგნები და სხვა სპორტული ინვენტარი.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

შეფასება:

სკოლას აქვს ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიები, რომლებიც განთავსებულია ლაბორატორიის ოთახში (მეორადი განათებით). ოთახში დამონტაჟებულია გამწოვი და ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ონკანის დამონტაჟება.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- მოძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებით;
- დირექტორთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტრო ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

სკოლა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდებით. სკოლის პირველ სართულზე არის 1 ადაპტირებული და 1 სველი წერტილი გოგონებისათვის. მეორე სართულზე არის 2 სველი წერტილი ვაჟებისათვის. მეორე სართულის სველი წერტილები იზოლირებულია ერთმანეთისგან კარებით. ერთი დამხმარე ოთახის და ლაბორატორიის გარდა, რომელთა ფანჯრები დერეფანში გადის და შესაბამისად მეორადი განათება აქვს, დანარჩენ ოთახებს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. საკლასო ოთახებში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- გადახდის ქვითრებით.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

შეფასება:

სკოლის ბიბლიოთეკა მოიცავს 2011-2016 სასწავლო წლების ეროვნული სასწავლო გეგმით და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სახელმძღვანელოებს. წიგნადი ფონდი მოიცავს 845 ერთეულს. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა წიგნებზე ახალი ბეჭდების დასმა, რამდენადაც წიგნადი ფონდი თამარიონ+ ს ჩუქების ხელშეკრულების თანახმად გადასცა სკოლა თამარიონმა. ამავე ოთახში ფუნქციონირებს კომპიუტერული კლასიც. სკოლას აქვს ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი, მოსწავლეთა და მასწავლებელთა საბიბლიოთეკო პირადი ბარათები. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ და გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- ბიბლიოთეკის ჩუქების ხელშეკრულებით;
- შპს -თამარიონი+ ის ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარებით.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

სკოლას აქვს მოსახსნელი პანდუსი მეორე სართულზე ასასვლელად და 1 სველი წერტილი იმ პირთათვის, რომლებიც ეტლით გადაადგილდებიან.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

შეფასება:

სკოლას აქვს ინტერნეტქსელში ჩართული 3 კომპიუტერი, 3 ნოუთბუქი და 1 პრინტერი. ხელშეკრულება გაფორმებულია მაგთიკომთან. სკოლის ვებ-გვერდია: http://tamarioni.ge. სადაც მოცემულია ინფორმაცია სკოლის 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესახებ. ვებგვერდზე განთავსებულია ასევე სკოლის ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები. სკოლის ელ-ფოსტაა tamarioniscool@yahoo.com. ხელშეკრულება დომენური სახელის სარგებლობის უფლების გადაცემაზე გაფორმებულია სკოლა თამარიონზე და ჯერ არ არის გადაფორმებული შპს თამარიონ + ზე.

დასტურდება:

- სკოლის ვებ-გვერდით: http://tamarioni.ge.
- სკოლის ელ-ფოსტით tamarioniscool@yahoo.com.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- დირექტორის ბრძანებით შპს თამარიონი+ ის სკოლის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებისა და განახლების შესახებ

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ)თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ)სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ)წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაშიდაცულია პერსონალისა და მოსწავლეთაუსაფრთხოებადაჯანმრთელობა, რისთვისაცსკოლას შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

შეფასება:

სკოლის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, თუმცა გეგმები არასწორადაა დაბეჭდილი (ამოყირავებული), რის შეცვლასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა რეკომენდაცია. პირველ სართულზე განთავსებულია სახანძრო დაფა 1 ცეცხლმაქრით. მეორე სართულზე ასევე განთავსებულია 1 ცეცხლმაქრი.

სკოლაში არის ექიმის ოთახი აღჭურვილი საჭირო ინვენტარით. ექიმთან გაფორმებულია ხელშეკრულება. შემუშავებულია დებულება, გაწერილია ექიმის ძირითადი ფუნქციები და ვალდებულებები.

სკოლა უზრუნველყოფილია ვიდეოსათვალთვალო მექანიზმებით. სკოლის შემოსასვლელში დამონტაჟებულია 2 სათვალთვალო ვიდეოკამერა. ერთი მათგანი არის 3 მეგაფიქსელიანი, ხოლო მეორე კამერა 1 მეგაფიქსელიანი **(დანართი N5).** სკოლის შიდა პერიმეტრს აკონტროლებს ასევე 2 კამერა. **გარე მეორე კამერა არ შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტს.**

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ჩუქების ხელშეკრულებით;
- კამერის პასპორტით **(დანართი N5);**
- მიღება-ჩაბარების აქტით **(დანართი N6).**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება,შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და დამტკიცებულია შპს თამარიონი+ -ის დირექტორის მიერ (2018 წ. 12.02. პედსაბჭოს ოქმი N 01). შინაგანაწესის თანახმად განსაზღვრულია ზოგადი დებულებები; საქმიანობის სახე; სკოლის დირექტორის უფლება–მოვალეობები; პედაგოგიური საბჭოსა და საგნობრივი კათედრების მოვალეობები; მასწავლებელთა (თანამშრომელთა) უფლება–მოვალეობები; მოსწავლეთა და მშობელთა უფლება მოვალეობები; სკოლის სამუშაო დრო; მოსწავლის პირადი საქმისწარმოება; შრომის დისციპლინის საკითხები; თანამშრომელთა სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესი.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით.
- დირექტორის ბრძანებით 2018 წ. 12.02.
- პედსაბჭოს ოქმით N 01

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისსტატუსის მაძიებელზე

სკოლას შემუშავებული აქვს განვითარებისექვსწლიანი/გრძელვადიანიგანვითარების გეგმა (2018-2024 წწ) და ერთწლიანი 2018-2019 სამოქმედო გეგმა.
დოკუმენტებიდან გამომდინარე იგეგმება, სკოლის აღჭურვა სასწავლო თვალსაჩინოებით, ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ახალი წიგნადი ფონდით შევსება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისი სასწავლო გარემოს გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულებით პედაგოგთა თეორიული ცოდნის და პრაქტიკული განვითარების ხელშეწყობა.

ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უფრო დეტალურად გაიწეროს გეგმები და დაკონკრეტდეს მაგ. რა იგულისხმება სკოლის ინფრასტრუქტურის ეტაპობრივად გაუმჯობესებაში.

დასტურდება:

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;
- ექვსწლიანი განვითარების გეგმით;
- დირექტორთან და დირექციასთან გასაუბრებით.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

სკოლაში იგეგმება გამოცემული აქტების და კორესპონდენციის აღრიცხვა. სკოლას ჰყავს საქმეთა მმართველი, რომელიც პასუხისმგებელია შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვის და დასაქმებულთა პირადი საქმეების წარმოებაზე. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი (12.02 2018).

დასტურდება:

- სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების სარეგისტრაციო წიგნით (საკადრო და ზოგადი ბრძანებები);
- პირადი საქმეებით;
- შპს თამარიონი+ ის სკოლის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ 12.02 2018.
- შპს თამარიონის სკოლის დებულებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

შეფასება:

სკოლას ჰყავს 32 თანამშრომელი. მათ შორის: დირექტორი, დირექტორის ერთი მოადგილე სასწავლო დარგში, დირექტორის ერთი მოადგილე ადმინისტრაციულ დარგში, ერთი ბიბლიოთეკარი, კანცელარიის ერთი თანამშრომელი, ერთი ექიმი, დაცვის ორი თანამშრომელი, ერთი ბუღალტერი, ერთი დამლაგებელი და ოცდახუთი მასწავლებელი.

დასტურდება:

- შპს "თამარიონი +" დირექტორის 2018 წლის 12 თებერვლის ბრძანებით" (ბრძანება N 1; 12.02.2018).

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

შეფასება:

დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა პირადი საქმეები, გადამოწმდა ასევე 2017-2018 სასწავლო წლის მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული ბაზები, რამდენადაც პედაგოგები, რომლებიც ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ ამ სკოლაში მუშაობას, მუშაობდნენ გასულ წლებშიც.

წარმოდგენილი და გადამოწმებული დოკუმენტაციების მიხედვით, სკოლაში 25 მასწავლებლიდან 9 მასწავლებელს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 6 მასწავლებელი პრაქტიკოსია, ხოლო 10 მასწავლებელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

არ აქვს სტატუსი. მათშორის ერთ მასწავლებელს ჩაბარებული აქვს მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურების საგნობრივი გამოცდა (რუსული) და პარალელურად სწავლობს მასწავლებლის პროგრამაზე მაგისტრატურაში, ერთი მასწავლებელი (ინგლისური) სწავლობს მასწავლებლის პროგრამაზე მაგისტრატურაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და მასწავლებლებს მოსთხოვოს კომპეტენციის დადასტურების გამოცდაზე გასვლა.

დასტურდება:

- მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- საშტატო განრიგით;
- საინფორმაციო მართვის სისტემის ბაზებით.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

შეფასება:

შინაგანაწესის მე-10 მუხლის თანახმად სკოლაში თანამშრომლის მიღება ხდება დირექტორის გადაწყვეტილებით, რაც ფორმდება დირექტორის ბრძანებით და დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.

შრომითი ხელშეკრულება თანამშრომელთან იდება 1 სასწავლო წლის ვადით, თუ მხარეთა შეთანხმებით შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.

სკოლაში სამუშაოდ მიღებისას კანდიდატმა უნდა წარადგინოს:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ავტობიოგრაფია (CV);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- განცხადება.

დირექტორის შეხედულებისამებრ სკოლის ადმინისტრციას უფლება აქვს მოსთხოვოს დასაქმებულს სხვა სახის დოკუმენტებიც.

შრომითი ურთიერთობების შეჩერება და შეწყვეტა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შინაგანაწესის მე-9 მუხლის თანახმად შემუშავებულია,ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა. მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის სკოლის დირექციამ შეიძლება გამოიყენოს თანამშრომლის წახალისების შემდეგი ტიპები: მადლობის გამოცხადება და პრემიის გაცემა;

შრომის დისციპლინის დარღვევისათვის სკოლის დირექცია გამოიყენებს შემდეგ დისციპლინური პასუხიმგებლობის ზომებს:

- შენიშვნა;
- გაფრთხილება;
- საყვედური;
- სასტიკისაყვედური;
- სამსახურიდან გათავისუფლება

სახდელის დადებისას გათვალისწინებულია ჩადენილი გადაცდომის სიმძიმე და გარემოებები.

დასჯა და წახალისება ცხადდება დირექტორის ბრძანებით.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით;
- სკოლაში თანამშრომელთა მიღების წესით;
- დირექტორის ბრძანებით შპს თამარიონი+ ში პერსონალის მიღების წესის დამტკიცების შესახებ
- სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

შეფასება:

სკოლას მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. ხელშეკრულებების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ მათში გათვალისწინებულია საქართველოს შრომითი ხელშეკრულების ძირითადი პუნქტები. ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 19 აპრილიდან და მისი ხანგრძლივობა მოიცავს 2018-2019 სასწავლო წელს.

დასტურდება:

- მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- ხელშეკრულებებით.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

შეფასება:

სკოლა მომავალში გეგმავს ჩაერთოს მასწავლებლეთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, რაც უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- ინტერვიურებით.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

შეფასება:

სკოლა გეგმავს მომავალში ერთობლივ ღონისძიებებს და ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოვლენასა და პასუხისმგებლობის დელეგირებას.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით ;
- სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებით;
- სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუირებით;

IV. თანდართული დოკუმენტაცია

- იჯარის ხელშეკრულებით 2018 წლის 18 აპრილი **(დანართი N1 -5 ფურცლად);**
- აზომვითი ნახაზით **(დანართი N2- 4 ფურცლად**).
- ჩუქების ხელშეკრულებით **(დანართი N3 – 2 ფურცლად**);
- მიღება- ჩაბარების აქტით **(დანართი N4 -1 ფურცლად**);
- კამერის პასპორტით **(დანართი N5- 2 ფურცლად);**
- მიღება-ჩაბარების აქტით **(დანართი N6-1 ფურცლად).**

23.04.2018

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.